დილა

გამოცემის 111-ე წელი

№8, 2015



პიპინეი

ლელა ცუცქირიძე

შავი კეპით და პიკაპის პიპინით
თეთრ დათვებთან მიიჩქარის პინგვინი.

გვერდით უდევს ზოლიანი კალათი
ბუტერბროდით, შოკოლადის კარაქით.

კალათში დევს ლიმონათიც, კატლეტიც
და ნაყინიც – ბამბის, დე-ლი-კა-ტე-სი!

შეიარა სელაპების კაფეში,
შეიძინა ათი კილო კანფეტი.

მიაკითხა დათვებს, დაუპიპინა
მხიარულმა, კეპიანმა პინგვინმა.

– გაიღვიძეთ, გეტყვით, რასაც ვაპირებ,
სანამ მზეა, აისბერგზე ავიდეთ.

მიხვდით, ალბათ, ის დღე როგორც დამთავრდა:
მამა დათვი იყო სუფრის თამადა.

აი, ასე მხიარულობს პინგვინი,
რა ქნას, უყვარს მეგობრებთან პიკნიკი.

მხატვარი **ვაჟა ქურხული**

ბესიკ კეკელიძე

ნოუნოუნების იშტაფონი

თამარა ბებოს სახლის საკუჭნაოში უამრავი ძველი და გამოუსადეგარი ნივთი ინახებოდა. რას არ ნახავდით ამ პატარა ოთახში: სიმგაწყვეტილ ჩონგურს, უფილთაქვო ქვასანაყს, ფეხმოტეხილ სკამებს, მოჯანჯღარებულ ტაბლას, გაფუჭებულ ტელევიზორს, ძველ ჟურნალ-გაზეთებსა თუ რადიოლას, რომელიც კი მუშაობდა, მაგრამ შვილიშვილებმა ბებოს ახალი ჩამოუტანეს და ბენძღი რადიოლა საკუჭნაოში ამიტომაც მოხვდა.

ამ სათავსოში ერთი წრუწუნა, სახელად წრიპა, ცხოვრობდა. როგორც კი მოსაღამოვდებოდა, მასთან მეზობელი წრუწუნები იკრიბებოდნენ და, იცით, რატომ? მუსიკა და ცეკვა უყვარდათ. წრიპა მეგობრებს ჯერ სუფრას გაუშლიდა (ის ხომ თამარა ბებოს სახლში იყო აღზრდილი და სტუმრის პატივისცემა იცოდა). თაგვებისათვის ზღაპრული პურ-მარილი ეწყობოდა, რას არ ნახავდით: ბადრიჯნისა თუ ვარდის მურაბას, დაშაქრულ ცოცხალ ქაცვსა თუ ანწლს, მარწყვისა თუ მსხლის კომპოტს, გუდისა თუ ჭყინტი ყველის ასორტს და, რაც მთავარია, თხილისა თუ ნიგვზის გორაკებს. წრიპა კეთილი იყო, მეგობრები უყვარდა და მათთვის არაფერს იშურებდა.

როდესაც სტუმრები დანაყრდებოდნენ, ცოტას წაიჭორავებდნენ კიდეც, აქეთურ-იქითურზე წაიმასლაათებდნენ და შემდეგ წრიპა იტყოდა: — ახლა კი მუსიკის იშტაზე მოვედიო.

იშტა, ბავშვებო, მადის აღძვრას, სურვილის გაჩენას ჰქვია; ამ სიტყვას თამარა ბებო ხშირად ხმარობდა და წრიპამაც მისგან ისწავლა. იმ ძველ რადიოლასაც რატომღაც იშტაფონს ეძახდა.

ჰოდა, ჩვენი წრიპა აძვრებოდა იშტაფონის თავზე, ჩამრთველ ღილაკზე წამოსკუპდებოდა, ერთს ზემოთ ახტებოდა და, როგორც კი უკან დაეშვებოდა, ღილაკიც ჩაირთვებოდა. საკუჭნაო მუსიკის მომაჯადოებელი ხმებით ივსებოდა და გამხიარულებული წრუწუნები სულ ყირაზე გადადიოდნენ.

ვალსის ჰანგების გაგონება იყო და, ბიჭები შავ ფრაკებს მოირგებდნენ, თავზე შლაპებს დაიხურავდნენ და ფუშფუშ-ფაშფაშა კაბებში გამოწყობილ გოგონებს საცეკვაოდ იწვევდნენ. ციცქნა წყვილები საკუჭნაოს იატაკზე ჰაეროვნად დასრიალებდნენ და ტკარცალებდნენ.

როდესაც ვალსი მობეზრდებოდათ, წრიპა ისევ იშტაფონზე აძვრებოდა, მოძებნიდა როკენროლის

მუსიკას, წრუწუნები ფრაკებსა და ფუშფუშა კაბებს გვერდზე მიაწყობდნენ და საკუჭნაოში ახლა ჯინსებიანთა დიდი ჯაგაჯუგი იწყებოდა.

როკენროლს ბლუზი მოსდევდა, ბლუზს – ჩარლსტონი, ჩარლსტონს – ტანგო და ასე, წრუწუნები გათენებამდე ცეკვავდნენ, შემდეგ წრიპა იშტაფონს გამორთავდა, სტუმრებს ასაუზმებდა, გააცილებდა, სოროში შეძვრებოდა და მთელი დღე ეძინა, რათა საღამოსთვის ძალები მოეკრიბა და ისევ ბევრი, ძალიან ბევრი ეცეკვა.

თამარა ბებოს მეზობლები გაოცებულები იყვნენ, ეგონათ, ასაკოვანი ქალი მთელი ღამე მუსიკას უსმენდა და ერთობოდა; აბა, ჩემო კარგებო, ვინ წარმოიდგენდა, რომ თამარა ბებოს საკუჭნაოს ასეთი მუსიკალური წრუწუნები სტუმრობდნენ, გაუთავებლად იშტაფონს უსმენდნენ და თან ასე კარგად ცეკვავდნენ.

ეს მეზობლებისთვის იყო დაუჯერებელი, თორემ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რა ხდებოდა საკუჭნაოში.

მხატვარი **მალხაზ კუხაშვილი**

ვასილ გულეური

მშვიდობანა

ილიკო და დათა სახლში
ომობანას თამაშობენ.
ოთახებში დააგროვეს
სკამები და ბალიშები.

– აქეთ ჩემი საზღვარია,
ფეხის დადგმა არ გაბედო!
ნაღმები მაქვს ჩადებული,
რომ მაშინვე აგაფეთქო.

– მოკავშირე შენ არა გეავს,
რომ ბრძოლებში დაიხმარო.
საჰაერო დარტყმას ვიწყებ,
გირჩევნია, დაიმალო!

შემოიწყო დათამ ირგვლივ
ტანკები და ქვემეხები.
– თავდაცვაზე გადავდივარ,
ვერავინ ვერ შემეხებით!

– აგაფეთქე! ბახ-ბუხ! ბახ-ბუხ!
ზარბაზნები გუგუნებენ...
და ჰაერში აქეთ-იქით
დაფრინავენ ბუმბულები.

კარებიდან იჭეიტება
ამ დროს მათი დაიკონა.
თამაშს თავი მიანება,
ეს ხმები რომ გაიგონა.

– რას აკეთებთ? რა დღეში ხართ?
ეს თამაში არის განა?
გადაყარეთ იარაღი,
ითამაშეთ მშვიდობანა!

მხატვარი **გიორგი ჩაჩანიძე**

SOPHIE

SOPHIE

ხახალე

მარიამ წიკლაური



აი, ჩემი ოჯახი – დედა, მამა, და-ძმა.
ყველას უყვარს მოდურად და
მოხდენილად ჩაცმა.
მაგრამ სახლში ჩვენ გარდა
არის ერთი წევრიც –
ლაჰარაკი არ იცის,
არ აქვს თმა და წვერი.
არასოდეს სცხელა და არასოდეს სცივა,
არც კატას ჰგავს, არც სკამს და,
მით უმეტეს – დივანს!
ზედ აუსხამს მაისური,
კაბა,
კაშნე,
შორტი,
ჰალტო,
რაც გვაცვია ყველას ერთად,
მას აცვია მარტოდმარტოს.
არ გეგონოთ ფუფალა!
ახი კაბა-შარვალიც ტანს ვერაფრით უფარავს.
რასაც ვიცვამთ გარედან,
მას ჩაუცვამს შიგნით,
ბევრი ჩანთაც ჰკიდია,
მაგრამ არ აქვს ჩანთაში
რვეული და წიგნი.
ირგებს ჟილეტს,
ჯინსს და
ქურთუკს,
უკეთია ქამარიც,
მერე რა, თუ თავის ზომა
არაფერი არ არის?!
დედა სამოსს ულაგებს
და ურეცხავს მალ-მალე,
რადგან სუფთად ჩაცმა უყვარს
ჩვენს გარდერობ ბაბალეს.

მხატვარი **ელენე ვარამაშვილი**

ზოია ვაშაკიძე

ფისო

სოფლის წყნარი საღამოა,
ცოტას კიდეც ცრისო...
ჭრელა ძროხის შორიახლო
დასკუჰულა ფისო.
თვალებს ნაბავს, ხან კრუტუნებს,
ხშირად ნერწყვი სდისო.
ფისუნიამ კარგად იცის
ფასი თბილი რძისო.
უწილოდ არ დატოვებენ –
გრძნობს და უღირს მოცდა.
მერე თათებს აღაჰურობს და
ძროხის ჯილაგს ლოცავს.

ბაჭია

ამ ბაჭიამ, ნაცარამ,
ბოსტანი სულ დაცალა...
– ო, რა გემრიელია,
უჰ, უჰ, როგორ მომწონსო, –
თავი სულ წააცალა
ბურთივით მრგვალ კომბოსტოს.
კარგად იცის ნაცარამ,
ფასი „ა“ ვიტამინის,
სტაფილოთი დატვირთა
საუზმე და სადილი.
როცა კარგად დანაყრდა,
ბოსტნის განაჰირას,
ჩირგვის ძირში მიწვა და
ტკბილად ჩაიძინა.

მხატვარი **თამთა მამუკელაშვილი**

მაია კარსელი

მხიარული გამოცანა-რითმოცანები

***
უხელო და უფეხო –
მუდამ პატრონს უცდის;
როცა მიაკითხავენ,
სიხარულით სულ ხტის;
სირბილით და ბზრიალით
გაიკაჟა კუნთი,
არ ისვენებს წუთით
გაბერილი . . . . . !

***
განაბულია სასმენად
სიამით ყველა სულდგმული,
როცა უგალობს ხმატკბილი,
ჩიტი პატარა – . . . .

***
ნიავმა რომ დაუბერა,
თმა გასცვივდა ღერა-ღერა,
ვინც კი ნახა, განა იცნო,
თვალებს აღარ დაუჯერა,
დარჩენილა მხოლოდ ყუნწი,
სადღაა . . . .

***
მინდვრის დამამშვენებელი
არც ქვაა, არც ტალახი!
მწვანე ხალიჩასავით
აფენია . . . . . .



ცხრა პატარა კუბიკიდან სამი არ
არის დიდი კვადრატის ნაწილი.
იპოვე ისინი.





ყველაზე პატარებისთვის

მატარებლის შემადგენლობაში ვაგონები არასწორი თანმიმდევრობით ჩააბეს. ჟირაფმა მიმატება-გამოკლება კარგად არ იცის და შენი დახმარება სჭირდება. ვიცით, რომ ლომი ბოლო ვაგონში უნდა იჯდეს, დანარჩენი თვითონ გამოთვალე.

მსუნაგების სამეფო

კეთილი იყოს შენი მობრძანება მსუნაგების სამეფოში! ეს ყველაზე ტკბილი და გემრიელი ადგილია მსოფლიოში! აქ არაჩვეულებრივი თაფლაკვერის კაცუნები ცხოვრობენ. მათ საინტერესო თავსატეხი მოგიმზადეს. კარგად დაათვალიერე ნახატი და იპოვე: რამდენი კაცუნაა, რამდენი – ნაყინი, თხილი, მარწყვი, ჯოხიანი კანფეტი, ალუბალი და რამდენი –ფოჩიანი კანფეტი.

ცარიელ უჯრებში ჩაწერე პასუხები.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲨᲘ ᲘᲞᲝᲕᲔ ᲘᲛ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲜᲐᲮᲐᲢᲖᲔ ᲤᲝᲗᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲘᲐᲜ. ᲠᲕᲐ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠ ᲮᲐᲖᲔᲑᲖᲔ ᲐᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕ; ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲙᲘ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲣᲯᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲒᲜᲔᲣᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲞᲝᲕᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲓᲐᲒᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ.

Ჰ	Ზ	Პ	Ნ	Ა	Ხ	ᲯᲬ	Კ	ᲣᲨ
Ბ	Ე	Ჰ	Ე	Ⲙ	Ⲟ	Ⲧ	Ⲓ	Ⲧ
Ⲗ	Ⲑ	Ⲕ	Ⲛ	Ⲁ	Ⲟ	Ⲩ	Ⲫ	Ⲩ
Ⲏ	Ⲣ	Ⲥ	Ⲡ	Ⲓ	Ⲯ	Ⲟ	Ⲙ	Ⲓ
Ⲣ	Ⲁ	Ⲩ	Ⲉ	Ⲙ	Ⲑ	Ⲣ	Ⲭ	Ⲣ
Ⲧ	Ⲟ	Ⲁ	Ⲑ	Ⲩ	Ⲍ	Ⲭ	Ⲩ	Ⲁ
Ⲉ	Ⲯ	Ⲛ	Ⲝ	Ⲛ	Ⲡ	Ⲣ	Ⲱ	Ⲫ
Ⲑ	Ⲧ	Ⲩ	Ⲧ	Ⲓ	Ⲩ	Ⲩ	Ⲙ	Ⲓ

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ᲮᲔᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲗ,
ᲓᲐᲓᲘᲡ,
ᲓᲐᲠᲑᲘᲡ,
ᲑᲚᲐᲕᲘᲡ...
ᲮᲔ ᲐᲠ ᲘᲡᲮᲐᲛᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲡ,
ᲤᲝᲗᲝᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲡ.

ᲘᲞᲝᲕᲔ ᲜᲐᲮᲐᲪᲘ ᲡᲔᲙᲔᲚᲐ.

ქალბატონო დოდო, მოგესალმებით! გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიკეთეს, უფლის მფარველობა არ მოგკლებოდეთ. დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საშაბუროს საჯარო სკოლაში მივიღეთ ჟურნალი ,,დილა“, ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი საუკეთესო მოგონება და თითქოს ის ლამაზი წლები დამიბრუნდა...

თავისუფალ დროს ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა დიდი სიხარულით წაიკითხეს საინტერესო ლექსები და მოთხრობები, შეავსეს კროსვორდები. სექტემბრისთვის უფრო საინტერესოს დავახვედრებ თქვენი ჟურნალის წყალობით, მადლობა თქვენ ამ სიხარულისა და ინტერესისთვის.

ეს სურათი მე-5, მე-6 კლასის მოსწავლეებს გადავუღე და გიგზავნით. ისინი ვაჟასი და 300 არაგველის სამშობლოში დაბადებულნი არიან და თქვენი ლამაზი ,,დილა“ კიდევ უფრო გაუნათებთ გზას უკეთესი მომავლისაკენ.

პატივისცემით,
ქეთინო ბეჟანიშვილი



ლადო ქურთუბაძე
13 წლის

წინაპრების ხსოვნას

მზე ანათებს გაზაფხულის,
წითელ ვარდთა ვყნოსავ სურნელს,
მაგონდება, ლადო ბაბუ,
ასი წელი რომ გისურვე.

ნამცეცი არ მახსოვს წყენა –
თავზე მეტად მე მიყვარდი,
ვედარ გიხდით იუბილეს,
ვწუხ, უშენოდ დადგა მარტი.

ვინც გიცნობდა, გლოცავს ყველა,
ცხოვრება რომ განვლე წმინდად,
ააყვავე კარ-მიდამო
და დაგვყურებ ახლა ციდან.

გული სიმწრით მეკუმშება,
ერთად წევხართ შენ და ბებო,
მე ზღაპრები მზრდიდა თქვენი,
მყავდით მართლა სანაქებო.

ნაადრევად მიმატოვეთ,
არ ველოდი ასეთ ღალატს,
არასოდეს დაგივიწყებთ –
თქვენი ხსოვნა მმატებს ძალას!

ნინო მზესელი

ოჰ, ეს მათემატიკა

— სულ რიცხვები და რიცხვები. რა მოსაწყენია, — ჩაიბურტყუნა იხვის ჭუკმა, — არ მიყვარს ანგარიში და რა ვქნა. თუ არ მიყვარს, ესე იგი, არც დამჭირდება, — დაასკვნა თავისი ჭუკის ჭკუით.

— ჭუკი, გენაცვალე, ბევრი საქმე მაქვს და, იქნებ, ფრთა შემაშველო? — გაისმა სამზარეულოში მოფუსფუსე დედის ხმა.

ჭუკი გიჟდებოდა, ისე უყვარდა დედასთან ერთად ფუსფუსი, ამიტომ დაუფიქრებლად წამოხტა და მაშინვე სამზარეულოში გავარდა.

— აბა, რა ვქნა, დე, მწვანილები გავრეცხო? — ენერგიულად მოიფშვნიტა ფრთები.

— არა, შვილო, უკვე გავრეცხე.

— მაშ, დავჭრა?

— არა, დავჭერი კიდეც.

— მივხვდი, ქვაბს უნდა მოვურიო, — კოვზისაკენ გაიწია ჭუკი.

— არა, შვილო, მაღაზიაში უნდა გამეგზავნო, — გაუღიმა დედამ.

„ოღონდ ეგ არა, — გულში გაივლო ჭუკმა, მაგრამ რა ექნა, დედისთვის უარი როგორ ეთქვა?

— ფოთლები არ დაგრჩეს, მწვანეც წაიღე და ყვითელიც. იცოდე, არ მოტყუვდე, ხურდაში დახეული ან გამხმარი ფოთოლი არ მოგცენ. არც ზედმეტი გადააყოლო, — დარიგებები მიაწია დედამ უკვე გზაზე მიმავალ ჭუკს.

— მელაკუდა ვერაფერსაც ვერ მიხვდება, მთავარია, მე არ შევიმჩნიო, რომ ანგარიში არ ვიცი, — თავს იმშვიდებდა ჭუკი.

ტყის პირას გახსნილ მაღაზია „ტყის ნობათს“ სულ იოლად მიაგნო. ვაჭარ მელას პროდუქტის სიაც სწრაფად ჩაუკითხა. მანაც ყველაფერი პარკში ჩაუწყო და საფასურის გადახდა მოსთხოვა.

— ვაი, — დაიბნა ჭუკი, — რამდენი ფოთოლი გეკუთვნით?

მელამ შეატყო — ეს მართლა ჭუკის ჭუკი ყოფილა, ეტყობა, ანგარიში არ იცისო, სძლია მელიობამ და ვიხეირებო, გადაწყვიტა.

— დედამ რაც გამოგატანა, ყველა ფოთოლი უნდა დამიტოვო! — წარმოთქვა მტკიცე ხმით.

— დედამ — ხურდა გეკუთვნისო, — შეეპასუხა ჭუკი.

— შენ რა, ანგარიში არ იცი? ერთი ფოთოლი აკლია კიდეც, — იქით შეუტია მელიამ.

— უი, ეს რა მომსვლია, ეტყობა, გზაში დამეკარგა, — დაიცრემლა ჭუკი.

— კარგი, ჭუკი, რა გატირებს. უცხოები ხომ არ გვეთქმის, ერთი ტყის შვილები ვართ, — გაუღიმა მელამ.

გახარებულმა ჭუკმა პროდუქტით სავსე პარკს ფრთა დაავლო და შინისაკენ გაბავჯბავჯდა. თან მელას აქებდა — რა გული ჰქონია, ფოთოლი დამაკლდა და მაინც ყველაფერი გამომატანაო.

მიმავალი გზაზე ყარყატს შეხვდა.

— ეი, ჭუკი, აქაური ხარ და შენ გეცოდინება, რამდენი კილომეტრია ციმციმა ტბამდე?

— ისევ ვაი, — წამოიძახა ჭუკმა. ყარყატის ნათქვამი მეტრები და კილომეტრები ნამდვილ საწამებელ სიტყვებად მოეჩვენა.

რა უნდა ეთქვა. თვლა იმან არ იცოდა და ანგარიში. ნაბიჯებსაც კი ვერ დაითვლიდა.

დარცხვენილი ჭუკი უხმოდ გაეცალა ყარყატს, რომელმაც დაასკვნა ეს ჭუკი უვიცთან ერთად უზრდელიც ყოფილაო.

— იცი, რა დრო გავიდა? — საყვედურით შეეგება დედა შინ დაბრუნებულს.

— არა, საათს ვერ ვცნობ, — სირცხვილისაგან ძლივსღა ლუღლუღებდა ჭუკი.

— ხურდა თუ მომიტანე? — ეჭვით შეხედა დედამ.

— რა ხურდა, დე, თურმე სულაც არ მეკუთვნოდა, — ახლა კი ომახიანად წამოიძახა ჭუკმა.

— ისევ მელიამ მოგატყუა, — ფრთა ჩაიქნია დედამ. — მეც მაგარი ვარ, ანგარიში არ იცი და შენი ნდობა იქნებოდა? რად მინდა ეგეთი დახმარება, — ახლა უკვე თავზეც ბრაზობდა დედა.

— ოჰ... რა ყოფილა ეს მათემატიკა. ოჰ, ეს მათემატიკა, — ამოიოხრა ჭუკმა და, დედას ამის მერე მაინც გამოვადგეო, მაშინვე მეცადინეობა დაიწყო.



მხატვარი **თეა მიქაია**

ძაღლი და ადამიანი

ეს სინამდვილეა, რომელიც დრომ ლეგენდის ლამაზი მოსასხამით შემოსა.

ის, რაზეც უნდა გიამბოთ, დაახლოებით 14–15 ათასი წლის წინათ ხდებოდა, იმ პერიოდში, როდესაც ძაღლები მგლის ოჯახიდან ჯერაც არ განყოფილიყვნენ, ადამიანს კი ქვის ხანის ადამიანი ერქვა.

ქვის ეპოქის მშიერმა ადამიანმა რაღაც მოინადირა, მერე თავისი სადგომის წინ კმაყოფილი დაჯდა და ნადავლს გემოზე შეექცა. ანაზდად შორიახლო ოთხფეხა ცხოველი შენიშნა.ეს ძაღლი იყო. ძაღლი მსუნაგი მზერით მისჩერებოდა კაცს – აშკარა იყო, ოთხფეხა არსებასაც ჭამა უნდოდა. კაცმა ძვალი გადაუგდო. ძაღლმა სასუსნავს პირი წაავლო, თუმცა არსად წასულა, იქვე წამოწვა და ძვალს ღრღნა დაუწყო.

მზე უშურველად აფრქვევდა ირგვლივ სითბოსა და სინათლეს. ზურგით კლდეს მიყრდნობილი კაცი ცხოველს მისჩერებოდა, რომელიც მონდომებით ხრავდა და ლოკავდა კაცისგან მიმადლებულ სახრავს. კაცს ხელში ქვისგან გამოკოდილი დანა ეჭირა, გვერდით კი მსხვილი, წვერწამახული, საკმაოდ გრძელი ჯოხი, ანუ შუბი ედო.

ის იყო, ნადავლის დევნაში დაღლილ და დანაყრებულ კაცს ჩათვლიმა, რომ მოულოდნელად გაავებულმა ყეფამ გამოაღვიძა და რას ხედავს – მისკენ ორი აფთარი მოემართება ფრთხილი, შემპარავი ნაბიჯით, ძაღლი კი, აძაგრული, კაცსა და აფთრებს შორის ჩამდგარა და გაავებული უტევს დაუპატიჟებელ სტუმრებს.

კაცი წამოხტა, დანას და შუბს ხელი წამოავლო და ნადირისკენ დაიძრა. ხმაურზე რამდენიმე კაციც გამოჩნდა და ყველამ ერთობლივად შეუტია კბილებაკაწკაწებულ აფთრებს. აფთრები უკუიქცნენ. ამაყად თავაწეული და კუდაპრეხილი ძაღლი აქეთ-იქით გარბიგამორბოდა, არემარეს შეჰყეფდა, თითქოს გარეშეთ აფრთხილებდა, რომ აქ მათი მობრძანება იკრძალებოდა.

კაცებმა ძაღლი ერთგულებისა და თანადგომის გამო ხორცის გემრიელი ნაჭრებით დააჯილდოვეს...

სწორედ აქ გადაიკვეთა ბედი კაცისა და ძაღლის; აქ შეიკრა ძაღლის, როგორც მეგობრის, მცველ-დარაჯისა და ადამიანის – კეთილი პატრონის გზები...

ეს იყო უსიტყვო აღიარება იმისა, რომ უმეგობროდ, უსიყვარულოდ და ერთმანეთის თანადგომის გარეშე გარდუვალად დამარცხდებოდნენ არსებობისათვის ბრძოლაში...

ამ ამბიდან ათასობით წელი გავიდა. ძაღლებს კი დღემდე არ შეუცვლიათ ადამიანებთან მეგობრული ურთიერთობა, არ განელებიათ სიყვარული და არ დავიწყნიათ თავიანთი მოვალეობა მცველ-დარაჯისა...

გერმანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ცხოველებთან ერთად გაზრდილი ბავშვები გაცილებით იოლად ეგუებიან გარემოს. მათი გამოკვლევებით, სხვადასხვა ტიპის ბავშვს განსხვავებული ცხოველი სჭირდება: ძალზე აგრესიულებს – ერთი ტიპის ცხოველები, ზედმეტად აქტიურებს – მეორე ტიპისა...

იცით თუ არა, რომ...

მოამზადა **ალეკო გაბელაიამ**

ძაღლი (სხვათა შორის კატაც) პატრონის სხეულის დაავადებულ თუ დაზიანებულ ადგილებს ეტანება, იმ ადგილს ეხუტება და ცდილობს, ადამიანს გამოჯანმრთელებაში დაეხმაროს. მას ამის უნარი, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ნამდვილად აქვს...

გარდა ამისა, ძაღლი დიდებულად არჩევს და აგნებს სამკურნალო თვისებების მქონე მცენარეებს.

ძაღლები (ფისოებიც) მშობლებზე და, საერთოდ, ადამიანებზე გაცილებით უკეთ უყალიბებენ პატარებს გარე სამყაროსთან ჰარმონიულ ურთიერთობებს, ფართოდ უღებენ გარემომცველ სინამდვილესთან საურთიერთობო კარს...

სპეციალისტთაგან დადგენილია: ცხოველებთან კონტაქტი ბავშვებისთვის ფრიად სასარგებლოა. ისინი, ვინც ბავშვობიდან შინაურ ცხოველებთან ურთიერთობაში იზრდებიან, დიდობაში კეთილ, ჰუმანურ, ჭკვიან და წარმატებულ პიროვნებებად ყალიბდებიან.

ბრიტანელ მეცნიერთა დასკვნებით, ცხოველებთან ხშირი ურთიერთობა ადამიანებს ერთგვარ იმუნიტეტს (წინააღმდეგობის უნარს) გამოუმუშავებს ასთმის, ალერგიის, ვირუსებისა და სხვა მსგავსი ტიპის დაავადებებისადმი.

მოგეხსენებათ, როგორი საშინელი დაავადებაა აუტიზმი. გარესამყაროთი შეშინებული, თავზარდაცემული ბავშვი, როგორც ნიჟარაში, საკუთარ თავში იკეტება და კარგავს არსებობისათვის აუცილებელ სასიცოცხლო უნარს. თვით უახლოეს ადამიანებთანაც კი ვერ ამყარებს ურთიერთობას.

ამ სენის დასაძლევად მედიცინაში არ არსებობს უფრო უკეთესი საშუალება, ვიდრე ცხოველებთან ან ფრინველებთან ურთიერთობაა.

ამ მხრივ საუკეთესოა ზღვის გოჭი, ფისო, რომლებიც გაუცნობიერებლად, თუმცა მშვენივრად ართობენ ბავშვებს თავიანთი ცელქობითა თუ თამაშობებით: თუთიყუშები – თავიანთი ახირებული წამბაძველობითა თუ საქციელით და, რაც მთავარია, ცუგოები, რომლებიც შეუცდომლად აღიქვამენ ბავშვთა ფსიქიკურ მდგომარეობას და მათ საერთო ფერხულში ჩაბმას „აიძულებენ“.

მხიარული ლექსები პატარებისთვის

ჯემალ დოგორჯგინიძე

ისე კარგად ვხატავ

ცაცინათელა დავხატე
და გამინათა რვეული,
ფისომ თვალები დაჭყიტა,
უცქერის გაკვირვებული.

მოხიგე ყვანჩარა

ჩამმინებია ცისკრისას
სირცხვილი ვჭამე ქათმებთან
მე რომ არ დამიყივლია,
ნეტავი, როგორ გათენდა?



კახის კვახი

ცუდი მებოსტნე ეოფილხარ,
ჩემო მამიკო კახი,
ნახე, მეზობლის ბოსტანში
გადაგჰარვია კვახი.

ვინ სად იძინებს

ცხელა და ქვიშა ციმციმებს,
ყველა ჰატარა იძინებს:
გოჭი ტალახში ნანაობს,
ობობა ქსელზე ქანაობს,
ბოჩოლას სძინავს ქართაში,
მზიას – ბებიას კალთაში.

რუსუდან კუხაშვილი

ცინცხარი ამბავი

– ალო!.. ბებოო?.. უნდა გითხრა
სულ ახალი ამბავი,
წეღან, როცა ჩვენს ღობეზე,
გაჰეიოდა მამალი,
ქათამმა, რომ კვერცხი დადო
კრიახით და კაკანით,
სწორედ ამ დროს... სახლში ატუდა
ერთი სიცილ-ხარხარი.

იმიტომ, რომ სულ ჰირველად
ბანცალ-ბანცალ, ტაატით,
მამიკოსთან თავის ფეხით
მიბაჯბაჯდა... თამარი.

რატომ ტირის?.. ახლა, მგონი,
მოადინა ზღართანი,
ააუუ?.. როგორ იჭაჭება,
გავიქეცი, ნახვამ-დიის?!..

ლია ბეჭანიშვილი

ონავეარი კახუნა

დილიდანვე ვინ ცელქობს?
ვინ და, ჩვენი კახუნა.
ეურძენს ვინ უთვალთვალებს,
ზვარში რომ დამკრახულა?!
მამალს ქვა ვინ ესროლა,
კარი ვინ არ დახურა?!
ამ საღამოს გოჭუნა
წკეჰლით რომ გალახულა,
ბოდიშებს ვინ არ იხდის?
– ვინ და, ჩვენი კახუნა!
ამიტომაც ნუგბარი
მისთვის არ შენახულა!

მხატვარი **როენა შელეგია**

გამოიწერეთ ჟურნალი "დილა"

ამისთვის საჭიროა დარეკოთ
ან მიაკითხოთ პრესის
გავრცელების სააგენტოს:
elva.ge ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74;
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ:
1 წლით გამოწერის ფასი – 24 ლარი.

ISSN 0132-5965
9 770132 596009

მთავარი რედაქტორი: დოდო წივწივაძე
ნახატი ყდაზე: გიორგი ჩაჩანიძისა
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
http://www.dila.ge, ელ-ფოსტა: **dila1904@yahoo.com,** facebook: **საბავშვო გამომცემლობა დილა**
ფასი: 2.50 ლარი

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

მწერალთა
სახლი